

შპს „ფარმანეტი“

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

3

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

7

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

8 - 21

შპს "ფარმანეტი"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)			
	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,231,004.97	1,195,594.15
არამატერიალური აქტივები	5	4,071.33	4,828.53
საინვესტიციო ქონება	10		-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,235,076.30	1,200,422.68
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	49,443.19	22,176.19
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	310,328.04	148,070.18
მარაგები	8	698,103.94	801,490.50
წინასწარ გაწეული ხარჯები		3,183.11	4,103.72
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,061,058.28	975,840.59
სულ აქტივები		2,296,134.58	2,176,263.27
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,100.00	7,100.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		478,156.22	225,573.29
გადაფასების რეზერვი		614,117.25	614,117.25
სულ კაპიტალი		1,095,373.47	846,790.54
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	569,006.68	955,910.64
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		569,006.68	955,910.64
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	210,000.00	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	405,609.85	352,023.02
საგადასახადო ვალდებულებები		16,144.58	21,539.07
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		631,754.43	373,562.09

სულ ვალდებულებები		1,200,761.11	1,329,472.73
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,296,134.58	2,176,263.27

დირექტორი:



ბუღალტერი:



შპს "ფარმანეტი"		
მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის		
(ლარი)		
	შენიშვნა	2024
ამონაგები	<u>12</u>	6,620,841
თვითღირებულება	<u>13</u>	(5,470,814)
საერთო მოგება		1,150,027
სხვა შემოსავლები		67,320
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	(796,827)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(59,961)
საგადასახადო ხარჯი	<u>15</u>	(12,174)
საოპერაციო მოგება		348,385
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	(64,868)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(30,927)
მოგება დაბეგვრამდე		
მოგების გადასახადი	<u>18</u>	(7)
წმინდა მოგება		252,583
სხვა სრული შემოსავალი:		-
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		252,583

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს "ფარმანეტი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
(ლარში)				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	7,100	614117		846791
წმინდა მოგება	-	-	252,583	252,583
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი				-
გაცემული დივიდენდი		-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(4,000)			(4,000)
2024 წლის 31 დეკემბერი	3,100		252583	1,095,373

დირექტორი:



ბუღალტერი:



მპს "ფარმანეტი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ლარში)

	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	252,583
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის	72,811
- ცვეთა	35,840
- მოგების გადასახადი	
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	
- მარაგების გაუფასურება	
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება/ჩამოწერა	6,044
- ცვლილება ანარიცხებში	
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	30,927
- წმინდა ფინანსური ხარჯი	
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(10,679)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(162,258)
- მარაგები	103,387
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	53,587
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(5,394)
- გადავადებული შემოსავალი	
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	314,715
- გადახდილი პროცენტები	(64,868)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(8)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	249,839
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(76,537)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-
- გაცემული სესხები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(76,537)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	(4,000)
- სასესხო ვალდებულების ზრდა	(176,904)
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	
- გადახდილი დივიდენდები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(180,904)
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	34,869

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა	(7,602)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	22,176
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	49,443

დირექტორი:



ბუღალტერი:



შპს „ფარმანეტი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 10 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 404890445.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში და სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. შპს ფარმანეტი საქართველოს ბაზარზე ახდენს მედიკამენტების, შესახვევი მასალების, ჰიგიენური საშუალებების საქონლის იმპორტს და ექსპორტს. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად შემდეგი ქვეყნებიდან: თურქეთი, ჩინეთი, ჩეხეთი, ლიტვა, ლატვია, რუმინეთი. ექსპორტი აქვს სომხეთის რესპუბლიკაში.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით გააჩნდა სამი ფილიალი თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ., N 32, ბინა 43.

2024 წლის იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 70%-იანი წილის მფლობელია და დირექტორია ბადრი ტაბიძე, ხოლო 30 პროცენტიანი წილის მფლობელია ნინო ტაბატაძე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 3100 ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრისა კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 23 ადამიანი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური

საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას, თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-

ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან

უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

- შენობები 75 წელი
- მანქანა-დანადგარები 15 წელი
- საოფისე აღჭურვილობა 5-20 წელი

მიწისა და შენობა-ნაგებობების რეალური ღირებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს დამოუკიდებელმა შემფასებელმა შეაფასა მიწა და შენობა ნაგებობები. რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ უახლეს საბაზრო ოპერაციებს, რომელიც შესრულებულია მხარეებს შორის „გამწიფილი ხელის მანძილის“ პრინციპით

გადაფასების შედეგად მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულების ზრდის თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და დაგროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით თუ ისინი არ აკომპენსირებენ იმავე აქტივის გადაფასებით განპირობებულ შემცირების თანხას, რომელიც ადრე აღიარებული იყო მოგებაში ან ზარალში. რა შემთხვევაშიც ნამეტი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. გადაფასების შედეგად მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულების შემცირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ყველა სხვა სახის შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების ან ნარჩენი ღირებულებით შემცირებული შეფასებული თანხის განაწილებით მათი წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. მიწას აქვს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადა და შესაბამისად, მას ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით, საწყობების მიხედვით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერსუცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსურიანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ლარში						
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,051,555	159,670	54,438	77,373	18,853	1,361,891
შესყიდვა		5,003	480	71,055	-	76,537
გასვლა		(18,110)		-	(17,420)	(35,530)
გაუფასურება						-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია						-
გადაფასების რეზერვი	-					-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,051,555	146,563	54,918	148,428	1,433	1,402,898
დაგროვილი ცვეთა						
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	93,234	33866.97	27,265	11,931	166,296
ცვეთის ხარჯი	10,275	12,676	3,468	7,790	874	35,083
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		(18,110)		-	11,376	(6,734)
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	10,275	87,800	37,334	35,055	1,428	171,893
საბალანსო ღირებულება						
2023 წლის ბოლოს	1,051,555	66,436	20,571	50,108	6,923	1,195,594
2024 წლის ბოლოს	1,041,280	58,763	17,584	113,373	5	1,231,005

შენიშვნა-5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	სხვა	ჯამი
2023 წლის ბოლოს		13,750	13,750
შემოსავლა		-	-
გასვლა			-
2024 წლის ბოლოს	-	13,750	13,750

	პროგრამები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია			
2023 წლის ბოლოს		8,921	8,921
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი		757	757
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			
2024 წლის ბოლოს	-	9,679	9,679

	პროგრამები	სხვა	ჯამი
საბალანსო ღირებულება			
2023 წლის ბოლოს	-	4,829	4,829
2024 წლის ბოლოს	-	4,071	4,071

კომპანიის ძირითადი საშუალებები და დამოკიდებული პირის პირადი ქონება ჩადებულია გირაოში, ბანკის სესხის უზრუნველყოფის ნაწილში.

შენიშვნა-
6

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2024	31/12/2023
ფული საღაროში	16,100	12,760
ფული საბანკო		
ანგარიშებზე	33,343	9,416
	<u>49,443</u>	<u>22,176</u>

შენიშვნა-
7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	204,090	148,051
სხვა მოთხოვნები	-	-
გადახდილი ავანსები	106,238	19
	<u>310,328</u>	<u>148,070</u>

შენიშვნა-8	მარაგები			
	ლარში	31/12/2024		31.12.2023
	საქონელი	698,104		801,491
	სულ	698,104		801,491

შენიშვნა-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო ვალდებულებები	309,239	282,429
გადასახელი ხელფასები	21,470	11,841
გადასახდელი პროცენტები	-	-
მიღებული ავანსები	7,243	-
საიჯარო ვალდებულებები	2,398	3,436
სხვა ვალდებულებები	65,259	54,316
	405,610	352,023

შენიშვნა-11

სესხები

ლარი	მოკლევადიანი	
	31/12/2024	31/12/2023
ბანკის სესხები	210,000	-
სულ სესხები	210,000	-

გრძელვადიანი	
31/12/2024	31/12/2023
569,007	955,911
569,007	955,911

საწარმოს 31/12/2024 -ის მდგომარეობით გააჩნია ხუთი სესხი, რომელთა დაფარვის ვადებია 2025-2028 წწ. ამ სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8,7%-დან 14.8%-მდე. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით და დამფუძნებლის პირადი ქონებით.

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფულადი ნაკადების მოძრაობა	ფინანსური ინდიკატორები	დამოკიდებული მხარეები
სესხის ძირის დაფარვა	1332608.07	
სესხის აღება	1063250	
პროცენტის დაფარვა	67946.66	
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
პროცენტის დარიცხვა	64867.74	
გადაფასება(საკურსო სხვაობა)	-21434	
2024 წლის 31 დეკემბერი	779006.68	

პირობითი ვალდებულება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2025 წლის 19 სექტემბრით;

შპს ფარმანეტის დირექტორი:



ბადრი ტაბიძე